



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
1 მაისი, 2017

საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება 2016 წელს წლიურად 1.6%-ით შემცირდა. საყოფაცხოვრებო სექტორი სადისტრიბუციო ქსელის ჯამური მიწოდების მესამედს მოიხმარს, დანარჩენი კი მიეწოდება არასაყოფაცხოვრებო სექტორს, რომლის ჯამური მოხმარებაც 2016 წელს წლიურად 12.5%-ით გაიზარდა და საქართველოს ჯამური მოხმარების 6.2%-იან ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (5.2 პროცენტული პუნქტი). ზრდის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს სადისტრიბუციო ქსელის არასაყოფაცხოვრებო სექტორში ახალი კომერციული აბონენტების დამატება. 2016 წელს არასაყოფაცხოვრებო სექტორის მოხმარების ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა თელასმა აჩვენა (+28.7% წ/წ); შედარებით ნელი ტემპებით იზრდებოდა ენერგო-პროს (+5.7% წ/წ) და კახეთის ენერგოდისტრიბუციის (+2.9% წ/წ) მოხმარება. კომერციულ მომხმარებლებს აქვთ უფლება ორმხრივი პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდონ ელექტროენერგია, თუმცა ამჟამინდურ სადისტრიბუციო ქსელის აბონენტებად დარჩენას, რაც ძირითადად არსებული სტარიფო რეგულაციებითაა განპირობებული.


ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

მარტში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	5.1 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
მარტში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.0 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
მარტში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	6.7 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
მარტში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	3.9 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
მარტში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.8 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 3თ17, კვტ.სთ	9.4%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 3თ17, კვტ.სთ	n/a
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 3თ17, კვტ.სთ	n/a

*საშუალო გაცვლითი კურსი მარტში GEL/US\$ = 2.4689; TRY/US\$ = 3.6659


**მარტში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.024 გვტ.სთ)

გრაფიკი 1: საყოფაცხოვრებო სექტორის ელექტროენერგიის მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: სემეკი

გრაფიკი 2: არასაყოფაცხოვრებო სექტორის ელექტროენერგიის მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: სემეკი

საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან რვა აბონენტმა (ჯამურად 0.15მგვტ) ისარგებლა გასულ წელს კანონმდებლობაში შეტანილი ნეტო აღრიცხვის მექანიზმით. ახალი საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, ნემისმიერ საცალო მომხმარებელს შეუძლია დააყენოს მიკრო ელექტროსადგური (0.1 მგვტ.-ზე ნაკლები სიმძლავრით), რომელიც მუშაობს განახლებადი ენერგიის წყაროზე (ძირითადად მზის პანელები). სადგურის გამომუშავებული ელექტროენერგია შეუძლია გამოიყენოს საკუთარი მოხმარებისთვის, ამავდროულად პარალელურ რეჟიმში ჩართოს ელექტროსისტემაში და გამანაწილებელ კომპანიას (თელასი, ენერგო-პრო, კახეთის ენერგოდისტრიბუცია) მიაწოდოს ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერგია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამომუშავებული ელექტროენერგია ვერ დააკმაყოფილებს მის მოხმარებას, გამანაწილებელი კომპანიის ქსელიდან მიიღოს შესაბამისი რაოდენობის ელექტროენერგია. ანგარიშსწორებისას მოხდება მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის გაქვითვა წლიურ ჭრილში. ახალი ინიციატივის მიხედვით, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ და მიწოდებულ ელექტროენერგიაზე მიღებული შემოსავალი გათავისუფლდება გადასახადებისგან. აღნიშნული ინიციატივის წარმატებული დანერგვა ხელს შეუწყობს სექტორის განვითარებას.

თბოთბოვანების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობა 2016 წელს წლიურად 19.5%-ით შემცირდა, ხოლო თავად თბოთბოვანების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მხოლოდ 6.0%-ითაა შემცირებული. ამ გაუმჯობესების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი 2015 წლის ბოლოს გაშვებული უფრო ეფექტიანი გარდახნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურია. აღნიშნულმა სადგურმა 2016 წელს ჯამური თბოენერგიის ნახევარი გამოიმუშავა და დიდწილად ჩაანაცვლა უფრო დაბალეფექტიანი მტკვარის და თბილისის თბო ბლოკები, რომლებიც წინა წლებში სრული დატვირთვით მუშაობდნენ.

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი


ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897



ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი


მარტში შიდა მოხმარება წლიურად 8.4%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გამანაწილებელი ლიცენზიანტების 8.2%-იანი ზრდა იყო: თელასის მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა წლიურად 7.7%-ით, ენერგო-პროს აბონენტთა მოხმარება 8.5%-ით, ხოლო კახეთის ენერგოდისტრიბუციის 7.3%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება მარტში წლიურად 6.8%-ით გაიზარდა და ქვეყნის მოხმარების 20.2% შეადგინა. პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა გაზრდილია წლიურად 12.4%-ით, ხოლო ჯორჯიან მანგანეზის 16.4%-ით. ჯორჯიან მანგანეზის მოხმარების ზრდამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (1.6 პროცენტული პუნქტი) ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ჯამურ ზრდაში. ელექტროენერგიის ექსპორტი მარტში უმნიშვნელო იყო, აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ტრანზიტმა კი 4.0 გვტ.სთ. შეადგინა (-84.1% წ/წ). ტრანზიტის მნიშვნელოვანი შემცირების ძირითადი მიზეზი იყო იმპორტის დიდი მოცულობის გამო შეზღუდული სატრანზიტო გამტარუნარიანობა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება გვტ.სთ.




წყარო: ესკო

შიდა მოხმარების ზრდა ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნა იმპორტირებული ელექტროენერგიით. ადგილობრივი წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოება შემცირდა წლიურად 12.2%-ით, ხოლო იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (+133.6% წ/წ). ქვეყნის მოხმარების მხოლოდ ნახევარი (51.7%) დაკმაყოფილდა ჰიდროელექტროსადგურების მიერ, დანარჩენის შევსება მოხდა თბოსადგურებითა (17.9%) და იმპორტით (29.6%), ხოლო ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების წილმა მთლიან მიწოდებაში 0.8% შეადგინა. ელექტროენერგიის მიწოდების წყაროების პროცენტული წილების ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო ცუდი ჰიდროლოგიური პირობებით, რამაც გავლენა იქონია ყველა ჰესზე, და ენგურის კაშხალზე წყლის დაბალი დონით, რაც თებერვალში ჰესის ათდღიანი შეჩერებით იყო გამოწვეული. ჯამური ჰიდროგენერაცია შემცირდა 21.7%-ით, აქედან ენგურის და ვარდნილის წარმოება შემცირდა 34.6%-ით, დანარჩენი რეგულირებადი სადგურების კი 21.6%-ით. დერეგულირებადი სადგურების ჯამური წარმოება, მიუხედავად ცუდი ჰიდროლოგიური პირობებისა, თითქმის არაა შეცვლილი (+0.4% წ/წ), რაც გამოწვეულია ამ კატეგორიაში 2016 წლის ბოლოს დამატებული დარიალის (108.0მგვტ), ხელვაჩაურის (47.5მგვტ) და სხვა ახალი ჰესების (9.4მგვტ) ინტეგრირებით. ჰიდროსადგურების გენერაციის კლება ნაწილობრივ დაკომპენსირდა თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საკმაოდ მაღალი ზრდით (+26.5% წ/წ), წინა წლის დაბალი ბაზიდან (-56.2% წ/წ). გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური მუშაობდა სრული სიმძლავრით მთელი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი თბოსადგურები ძირითადად სისტემისთვის რეზერვის წყაროებს წარმოადგენდნენ. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა წლიურად 9.9%-ით და შეადგინა 0.75 აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე. 2017 წლის მარტში გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე ხუთივე წყარომ მიაწოდა სრული თვის განმავლობაში. ელექტროენერგიის იმპორტის წილმა სრულ მიწოდებაში ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 29.6% შეადგინა. ელექტროენერგიის იმპორტის ნახევარზე მეტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (56.8%), ხოლო დანარჩენი რუსეთი (27.0%) და სომხეთიდან (16.2%). ენგურისა და ვარდნილის ჯამურმა გენერაციამ აფხაზეთის რეგიონის მოხმარების 61.1% დააკმაყოფილა, დანარჩენის დაკმაყოფილება კი რუსეთიდან „სალხინოს“ ელექტროგადამცემი ხაზით იმპორტირებული ელექტროენერგიით განხორციელდა.




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

მარტში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 48.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 26.7%-ით მეტია თურქეთის საბაზრო ფასზე. საბაზრო ფასი თურქეთში გაიზარდა 3.8%-ით 2016 წლის მარტის დაბალი ბაზიდან (-21.5% წ/წ) და კვტ.სთ.-ზე 4.0 აშშ ცენტი შეადგინა. 2017 წლის მარტში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 33.8% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. საბალანსო ელექტროენერგიის ფასის და ჯამური მოცულობის ზრდა ძირითადად განპირობებულია იმპორტის დიდი მოცულობით.


იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასმა საქართველოში 3.9 აშშ ცენტი შეადგინა და წლიურად 38.0%-ით გაიზარდა 2016 წლის მარტის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-57.7% წ/წ). ასეთი დაბალის ფასის ძირითადი მიზეზი ორივე წელიწადში რუსეთიდან, „სალხინოს“ ელექტროგადამცემი ხაზით იმპორტირებული ელექტროენერგიის სუბსიდირებული ფასი იყო. აღნიშნული იმპორტი ძირითადად განკუთვნილი იყო აფხაზეთის რეგიონის მუდმივად ზრდადი მოხმარების დასაკმაყოფილებლად.

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 8: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: ექსპორტი იყო უმნიშვნელო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოშვებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალემ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმისიშვილი | ikumisishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge